№ 27 მთავროგის მოამგე ყოველდღიური გაზეთი ფასი 20 მან. ოქტომბერი 5 1921

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი — (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 500 მან., (ალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ბე გ. 15 მან. ხელოვნიანი განც. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 250 მ. სასამართლო. ფუნ. განცხადებანი 600 მ. ნისია განც. დაბეჭდვა ღირს ნახევრზე მეტი 30-%, ადგილ. ექციის და ადგ. ბისაბართა: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—32

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

1900 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲔᲒᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

სიღნაღის სამაზრო სიერობი გამგეობა, ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1900 წელში დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები ხელობი გამგეობის განსაკუთრებული კომისია შეუდგება თავის მოქმედებას მიმდინარე 1921 წლის 6 თებერვლიდან.

საკრებ პუნქტად მთელს მაზრისთვის დანიშნულია ქ. სიღნაღი, ყოფილი სამაზრო კომისარიატის ბინა.

მაზრა დაყოფილია ოთხ უბნად:

1) პირველი ქოდალოს წვეულთა უბანი, რომელიც შეიკავებს შემდეგ სოფლებს და თემებს: ჩალიულს, კაკაბეთს, ყანდაურას, ჭერემს (კაკაბეთის თემი) ჯიმითს, ნანიას, შიბლიანს, დარეფის, კაჭრეთს (ალჭრეთის თემი), და ქოდალოს არაშენდას. ზარატოფიელს, მელანს, (არაშენდის თემი), უნდა გამოცხადდენ, ქ. სიღნაღში, 6 თებერვალს, დღლის 8 საათზედ.

2) მეორე გურჯანის წვეულთა უბანი, რომელიც შეიკავებს შემდეგ სოფლებს: ახაშენს, ჩუმლიას, (ახაშენის თემი); ველისციხეს, ბოკურაულს (ველისციხის თემი); კოლაგს, ბაკურციხეს, ჩალოუანს (ბაკურციხის თემი); უნდა გამოცხადდენ რვაცხა (8—9) თებერვალს ქ. სიღნაღში, დღლის 8 საათზედ.

3) მესამე წვეულთა უბანი, რომელიც შეიკავებს მხოლოდ ალაზანს ვაღმა რაიონის თემებს, უნდა გამოცხადდენ ათს, თერთმეტს, თორმეტს (10—11—12) თებერვალს, ქ სიღნაღში, დღლის 8 საათზედ.

4) მეოთხე წვეულთა უბანი, რომელიც შეიკავებს სოფლებს: კარდენახს, ანაგას, ვაქირს, საკობოს, მაშნაარს, ასანურს (საკობო თემი); ჯუკგანს, ტარბანს, ოზაანს, პრასიანს (ტარბანის თემი), ბოდბეს, ახალალექსანდროვკას, მალაროს (მალაროს თემი); ბოდბისხევს, ქედელს, (ბოდბისხევის თემი); ქვა-ბაჩხანს ზემო-ბაჩხანს, ბირუანიას, ბრმოშიას (ბაჩხანის თემი); მთლად მარაქის რაიონს, და ქალ. სიღნაღს, თავისი მიდამოებით, უნდა გამოცხადდენ ცამეტ, თოთხეტ და თხუთმეტ (13—14—15) თებერვალს ქ. სიღნაღში, დღლის 8 საათზედ.

5) იმ პირთ, რომელთაც მოეპოვებიან წელოვანობის დასამტკიცებლად მეტრიკული ამონაწერები, მაგრამ საკომელარიო სიის ჩვენებით ან გარეგან შეხედულებით, შეტანილი არიან გამწვევთა სიაში ან და სრულიად არ არიან მოთავსებულნი ასეთში, მოვალენი არიან განუცხადონ სამაზრო ერობის სამხედრო განყოფილებას, შესაფერი საბუთების წარდგენით 6 თებერვალამდე, უკიდურეს შემთხვევაში იმ დრამდე სინამდე დაიწყება შემოწმება ყმაწვილკაცთა იმ რაიონში, რომელსაც ეკუთვნის წვეული.

6) ოჯახის მდგომარეობის გამო არიან თავისუფლდნა სამხედრო ბეგარისაგან.

7) საშუალო სკოლის მოწაფენი, რომელნიც წარმოადგენენ ლონშუულ ვადაში სათანადო მოწმობებს (სასწავლებლებისას, საკაც მოწაფენი იმყოფებიან) განთავისუფლებულნი იქმნებიან სამხედრო ბეგარის მოხდისაგან 21 წლის შესრულებამდე.

8) ის პირნი, რომელნიც არიან სამართალში მიცემულნი და გამოძიების ქვეშ მყოფნი, ისეთ საქმეებისათვის, რომელიც გულისხმობს უფლების აყრას, ან შეზღუდვას, მოვალენი არიან წარმოადგენონ სათანადო საბუთები.

9) არავითარი სამსახური არც ქერთ, არც საზოგადოებრივი, არც სახელმწიფო (გარდა სამხედრო სამსახურისა) არ ანთავისუფლებს ყმაწვილ-კაცს გ. წვეულისაგან.

10) სამხედრო ბეგარის აუსრულებლობის, ცალკ ცნობის ან სტატის, წარმოდგენისათვის იმ აზრით რომ ეს თუ ის პიროვნება ვითარებისუფლებულ იქნეს სამხედრო ბეგრისაგან დაისჯება სასტიკად, არსებულ რუსეთელიკის კანონების ძალით.

11) სახელო ვალდებულთ ოჯახებისათანაც სამხედრო სამსახურში არ მიეცემათ შეებულება შინაურ საქმეების გამო და პუნქტიდანვე (სიღნაღიდან) გაიგზავნებიან სამხედრო ერთეულებში.

იმ პირთ, რომელთაც მიეცათ წარსულ წლებში შეებულება, ერთის წლით ადრეთვე მოვალენი არიან გამოცხადდენ ზემოაღნიშნულ რაიონების ან ვადის მიხედვით.

სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა.

სახელმწ. თეატრი

ოპერა.

შაბათს 5 თებერვალს ოპერა მუშებისთვის

„დონ-ჟუანი“

კვირას 6 თებერვალ სამზღვრო ზარმოდგენა, ორშაბათს, 7 თებერვალ „ტრავიატა“ სამშაბათს, 8 თებერვალ „დონ-ჟუანი“.

დასაწყისი 8 საათზე. 6 1—1

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲝᲑᲐ

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ,

რომ სამშაბათს, 15 ამა თებერვალს, დღლის 12 საათზე ბანკის შენობაში (ლორის მეოქეთის ქ. № 5) დანიშნულია

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

იმ ძვირფას ნივთებისა, რომელიც ინახება ბანკში ავადი მელტონისძე ამაშუკელისა და შვილ არტემისძე ალოპოიას მიერ გასაღდებელ თამასუქების ზურნველ-ყოფად. 442 1—1

ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲯᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲝᲓᲘᲤᲘᲡ

ამით აცხადებს, რომ თებერვლის 13-ს დ. აბაშაში, გამნაზიის შენობაში

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡᲐ- ᲒᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ:

1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის.
2. არჩევნები საბჭოს გამგეობის და სარეგიზიო კომისიის წევრების.
3. მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

იმ აქციონერს, რომელსაც არ აქვს საბუთები დაესწროს კრებას, უფლება ეძლევა რწმუნება გადასცეს უფლებიან აქციონერს თანახმად წესდების 59 მუხლისა.

35 3—2

ᲔᲙᲘᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 თებერვალს, ღილის 12 საათზე კომიტეტის სადგომში—რუსთაველის პროსპექტი № 34, დანიშნულია

ᲗᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

მაღაროებისათვის საჭირო 1.200.000 ღერ სრულზომიან აგურისა და 78.000 ღერ მარსელის კრამიტის დამზადების შესახებ

წერილობითი განცხადება შემოტანილ უნდა იქმნას დახურულ კონვერტებით. დაწერილებით პირობების მიღება შეიძლება ტფილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 34 და ტყიბულში—ქვა-ნახშირის მაღაროების კანტორაში.

37 2—1

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲐᲜᲐ

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამბანაგისა.

29 ივნვარი, 1921 წ., № 9.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის 1 ბარისხის ბუჰალტერად ამავე ხაზინის 2 ბარისხის ბუჰალტერი ივანე რაფდენის ძე ბერძენ-ძე ამა წლის ივნვრის 20-დან.

1 ივნვარი, 1921 წ., № 10.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მე-2-რე ბარისხის ბუჰალტერად ამავე ხაზინის მოანგარიშე თამარა კონსტანტინეს ასული ბუბუ ხიძე ამა წლის ივნვრის 20 დან.

№ 11.

დანიშნულ: ტფილისის მე-2-რე ბარისხის ბუჰალტერად ამავე ხაზინის მოანგარიშე ოსიფ ეტატეს ძე ვასკეიძე ამა წლის ივნვრის 20-დან.

№ 12.

დანიშნულ: ტფილისის მე-2-რე ბარისხის ბუჰალტერად ამავე ხაზინის მოანგარიშე ნაპოლეონ ივანეს ძე როსინასკი ამა წლის ივნვრის 20 დან.

№ 13.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მე-2-რე ბარისხის ბუჰალტერად ამავე ხაზინის მოანგარიშე სოფიო სერგოს ასული ტერ-ზატეფოზი ა. წ. ივნვრის 20-დან.

№ 14.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მე-2-რე ბარის. ბუჰალტერად ამავე ხაზინის რეგისტრატორი თეოდორე ტროფიმეს ძე ბონდარენკო ამა წლის ივნვრის 20-დან.

№ 15.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მე-2-რე ბარისხის მოღარედ ამავე ხაზინის რეგისტრატორი მარიამ დიმიტრის ასული ბოკერია ა. წ. ივნვრის 20 დან.

№ 16.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი გიორგი სიმონის ძე მესხელიშვილი ა. წ. ივნვრის 20-დან.

№ 17.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი პავლე ალტაშის ძე ამყერდოვი ა. წ. ივნვრის 20-დან.

№ 18.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი მარიამ ვლადიმერის ასული მაყაშვილი ა. წ. ივნვრის 20-დან.

№ 19.

დანიშნულ: ტფილისის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი მარგარიტა სოლომონის ასული ასლანიშვილი ა. წ. ივნვრის 20 დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის. მინისტრის ამბ. ი. ხალვაში.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

კვირას, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, მთავრობის თავჯდომარე მიიღებს სასამართლეში მოლოცვას უცხოელ წარმომადგენელთაგან—საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის ვგამო. (შესაფერი ადგილი ეკრანებიდან).

ANNONCE.

Dimancche, le 6 fevrier, a mid i, le president du couvernement recevra au palais les felicitations des representants etrangers a l'occasion de la reconnaissance de jure de la republiguo de ccorcie. (Entrée du Sud).

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო

მისალმებანი.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი მისალმებელი დეპეშები მიიღო: ესტონეთის რესპუბლიკის კონსულისაგან: „ესტონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვულოცავ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ევროპის სახელმწიფოთა მიერ მის იურიდიულად ცნობას და ვუსურვებ აყვავებას. გაუმარჯოს საქართველოს. გაუმარჯოს მის ბელადებს. ესტონეთის კონსული პაული.

— ბათუმში არსებულ ელლინთა პოლიტიკურ ორგანიზაციისაგან: „ქ. ბათუმის ელლინთა პოლიტიკური ორგანიზაცია გულწრფელად ულოცავს საქართველოს იურიდიულად ცნობას. ეს დიადი ისტორიული ფაქტი არის დღესასწაული არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ბერძნებისათვისაც, რომლებიც საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიან“.

— თურქთა დემოკრატიული პარტიის „გუმმეტის“ ცენტრალური კომიტეტისაგან: „საქართველოში მცხოვრებმა თურქთა დემოკრატიამ დიდის კმაყოფილებით გაიგო ევროპის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა. ჯანღონით სავსე საქართველომ ძლევამოსილად განვლო ბრძოლის შემდეგი ეტაპი. თურქთა დემოკრატიის სახელით მხურვალედ გილოცავთ და გისურვებთ გამარჯვებას ყოველგვარ ბრძოლაში. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც საქართველო მუდამ გამარჯვებისაკენ მიჰყავს“.

— ბათომში არსებულ სომეხთა ეროვნულ საბჭოსაგან: „ბათომში და მის ოლქში მცხოვრები სომხები, რომელნიც საქართველოს სრულუფლებიან სახელმწიფოთა რიცხვში მიღების ცნობამ მეტად გაახარა, უგზავნიან გულწრფელ სალამს საქართველოს მთავრობას და ულოცავენ მას დიად ისტორიულ დღეს“.

— სპარსეთის გენერალურ კონსულისაგან: „ვეჩქარები რა გულწრფელად საქართველოს მთავრობას და მის ხალხს ღამახურებულ სიხარულში საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ ამ ისტორიულ დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივობა თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაიმარჯვა, მიიღოთ ჩემგან გულითადი მოლოცვა და სურვილი, რათა ახალგაზრდა რესპუბლიკამ და მთელმა ქართველმა ერმა განაგრძოს აყვავების გზაზე სვლა და შესძლოს საუკეთესო მერმისის მიღწევა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ გრძნობებს, რომელიც გამოვთქვი მე, როგორც სპარსეთის წარმომადგენელმა, გაიზიარებს ჩემი მთავრობა, რაც მას არა ერთხელ დაუმტკიცებია და, ვიმედოვნებ, რომ იგი, შექმნილ არა სასურველ მდგომარეობის გადალახვის შემდეგ, რაც არის მიზეზი საქართველოსთან დამოკიდებულის შეწყვეტისა, შესძლებს უფრო რეგულიარად გამოსთქვას თავისი ურყევი სიმპატიები და მეგობრობა, რომლითაც მუდამ ხელმძღვანელობდა სპარსეთის მთავრობა საქართველოსთან არსებულ ყოველგვარ დამოკიდებულებაში. მიიღეთ ბატონო თავმჯდომარე რწმუნება ულრმეს პატივისცემის გრძნობებში.

სპარსეთის გენერალური კონსული.

—

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოსულია აგრეთვე შემდეგი დეპეშები: ფოთიდან—ფოთის ნავთსადგურის პროფესიონალურ კავშირის წევრებისაგან. ქუთაისიდან—დასავლეთ საქართველოში მყოფ ფინანსთა სამინისტროს მოსამსახურეთა კავშირისაგან. ოზურგეთის თემის გამგეობისაგან, ქუთაისის ებრაელებისაგან, კობიდან—არტილერისტებისაგან, სიღნაღიდან—სახალხო კრილობისაგან, ონიდან—ხმოსანთა საგანგებო კრებისაგან, სართიჭალიდან—ადგილობრივ ცხოვრებთაგან, ყაზბეგიდან—თემის გამგეობისაგან, შულავერიდან—სახალხო გვარდიის ესამე იმერეთის ბატალიონისაგან.

ამნისტია.

იუსტიციის მინისტრმა საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად წარუდგინა მთავრობას პროექტი დეკრეტისა ტუსაღთა ამნისტიის გამოცხადების შესახებ. პროექტის განმარტებით ბარათში იუსტიციის მინისტრი სწერს: დიდ სახელმწიფოთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა ასრულებს იმ ბრძოლის ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივობის გამაგრებისაკენ იყო მიმართული. ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკა ხდება საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრად და მთელ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანაბარ ადგილს დაიკავებს. ამ დიადი აქტის აღსანიშნავად უნდა შეწყალებულ იქმნენ ტუსაღები. დამნაშავეთა მდგომარეობის შემსუბუქება უნდა შეადგენდეს საკანონმდებლო კრილობის პირველ აქტს. ამ მოსაზრებათ გამო იუსტიციის სამინისტრო წინადადებას იძლევა იქნეს მიღებული მის მიერ წარდგენილი პროექტი ამნისტიისა, რომელიც არის განმეორება ასეთივე აქტისა, რომელიც მიღებული იყო წარსულ წელს იანვრის 27 საქართველოს რესპუბლიკის ფაქტიურად ცნობის აღსანიშნავად. ამ ორი აქტის შორის მხოლოდ ის განსხვავება არსებობს, რომ პოლიტიკური დამნაშავეთა მიმართ უნდა გატარებულ იქმნას არა განსაკუთრებული წესი, როგორც ეს იყო წინად, არამედ საერთო კანონი ამნისტიის შესახებ. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია იმ ტუსაღთა მდგომარეობის შემსუბუქებაც, რომლებიც დატუსაღებულნი არიან ადმინისტრატიული წესით. ამ მარივ წარდგენილი პროექტი ამნისტიისა ბევრად უფრო რთული და ამომწურავია, ვიდრე პირველი პროექტი.

6 თებერვლის დღესასწაული

კვირას, 6 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლოს იურიდიულათ ცნობის აღსანიშნავათ მომწყობი კომისია აცხადებს შემდეგ წესრიგს:

11 საათზე იკრიბებიან რუსთაველის პროს. ჯარი, გვარდია, მუშ. პროფეს. კავშ. პოლიტიკ. და კულტურული ორგანიზ. შეგირდები, მოწაფეები· ყველა ამათგანს თავიანთ ადგილს მიუჩენს განსაკუთრებული ხელმძღვანელები. სრულ 12 საათზე მთავრობა იღებს უცხოელ მისიებისაგან მოლოცვებს სასახლეში. შესავალი საჩრეთით.

პირველ საათზე მთავრობის თავმჯდომარე იღებს ალლუმს და ესალმება ხალხს. ცერემონიალით გავლილი ჯარი, გვარდია, შეგირდები და მწკრივი ახალგაზრდობისა შემოუვლიან თავისუფლების მოედანით პუშკინის ქუჩით ლორის-მელიქოვისაზე, დაიჭერენ ადგილს ჩრდილოეთის ნომრების გასწვრივ მუზეუმის შესახვევში კოლოუბნის, ქაშვეთის და ბარიატინსკის ქუჩებზე. ამის შემდეგ იწყება მიტინგები დამფუძნებელი კრების წინ და რუსთაველის პროსპექტზე სპეციალურად ამისათვის გამართული ტრიბუნებიდან.

სიტყვის მსურველები წინდაწინ უნდა ჩაეწერონ მომწყობ კომისიაში მუშათა პროფკავშირის სეკრეტარიატის მდივანთან.

საღამოს სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრებში გაიმართება საზეიმო უფასო წარმოდგენები. ბილეთები განაწილებული იქნება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა პროფ. კავშირის და პოლიტიკურ ორგანიზაციების საშუალებით.

ქალაქი გაჩირაღდნებულ იქნება. მოქალაქეებმა უნდა მორთონ თავისი სახლები ეროვნული და წითელი დროშებით, ხალიჩებით და გირლიანდებით.

8 საათიდან თავისუფლების მოედანზე, თვითმართველობის შენობის აივანზე ამართული იქნება ეკრანი, საიდანაც აჩვენებენ კინემატოგრაფიულ სურათებს: საქართველოს დამოუკიდებლობას, სახალხო გვარდიის დღესასწაულს და ბათომში საქართველოს ჯარების შესვლას.

საერთო წესრიგს იცავს მილიცია, ხელმძღვანელობას უწევს, ადგილებს აწესრიგებს სპეციალური ხელმძღვანელები კომისიის მიერ დანიშნულნი, რომელთაც ნიშნები ექნებათ ქლავზე.

საერთო ხელმძღვანელობა ცერემონიისა დაკისრებული აქვს ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს.

უცხოეთი

(საინფ. განყოფ. ცნობა).

სომხეთი და ანგორა.

სომხეთის მთავრობამ წინაამდეგ დროებითი ზავის პირობებისა, წინადადება მოგვცა სადგურ არარატიდან არაზდაილისაკენ დაგვეხია, მაგრამ ჩვენ კატეგორიულათ უარვყავით ეს წინადადება.

ბეკზადიანის ნოტა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოგვიგზავნა ნოტა იმ უწესოების შესახებ, რომელსაც თითქოს ასკერები სჩადიოდენ სომხეთის მიმართ, იმ დროს, როდესაც უწესოებას სჩადიოდა დაშნაკელთა ბანდები. და ჩვენ წინადადება მოგვცეს, რომ ალექსანდროპოლი დაგვეცალა. ჩვენ ეს ნოტა უარვყავით და სათანადო პასუხი გავეცით.

ტაშკილატ ესასიე კანუნი.

(ძირითადი კანონები)

იანვრის 20 დიდმა ეროვნულმა კრებამ ანგორაში დაამტკიცა ტაშკილატ ესასიე კანუნი.

(გაზეთებიდან).

მ. გორკის წერილი

ევროპის პრესაში გამოქვეყნდა მაქსიმ გორკის წერილი, რომელიც მიწერილია ლენინთან. მაქსიმ გორკი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმ ძალმომრეობის და ბარბაროსობის გამო, რომელიც მიმართულია რუსეთის ინტელიგენციის წინააღმდეგ. მაქსიმ გორკი დაუყონებლივ მოითხოვს, რომ ლენინმა გაანთავისუფლოს ის რუსეთის ინტელექტუალური ძალები, რომელნიც ამ ჟამად საპყრობილეებში ლაფავენ სულს. გორკი ჩოითხოვს, რომ თუ ამ ხალხს არ გაანთავისუფლებს, მაშინ იგიც საპყრობილეში ჩასვან ის ერჩივნება. რუსეთის დიდებული მწერალი სასტიკად ჰგმობს მთელ ბოლშევიკების ტაქტიკას და ლენინის წინაშე ხმა მაღლა აღიარებს, რომ ის ხალხის საუკეთესო ნაწილს სრული ად ანადგურებს და თავის ასეთ პოლიტიკას კი ლენინი ამართლებს რევოლუციით გამოწვეულ შედეგებს. გორკი ურჩევს საბჭოთა რუსეთის მბრძანებელს ხელი აიღოს ტირანიაზე.

ტროცკის სიტყვა.

ერთ-ერთ პრაგის გაზეთის ცნობით ტროცკის იაჩეიკების კრებაზე უთქვამს: „ჩვენ ზავს არ დავარღვევთ, მაგრამ, არ ვიცით კი ვისთან გვექნება კიდევ ომი. საერთაშორისო რევოლუციას ჯერ არ გადუვლია და როდის გადივლის ეს ძალი სათქმელია. ამ ჟამად ჩვენ ომისათვის მზად უნდა ვიყვნეთ კავკასიაში მოსალოდნელ აფეთქების მოლოდინში. თუ ინგლისი დაიჭერს ბათომს, მაშინ საქართველო გადაიქცევა სამარ ასპარეზად, სადაც ვრანგელი თავის ჯარის ნაწილებსაც კი გადაიყვანს. ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყვნეთ და ვყოლიოთ საჭირო არმია.

როგორ მალავენ პურს გლეხები რუსეთში.

გაზეთ „იზვესტიას“ გადმოცემით, რუსეთის გლეხებს რაც გინდ საკმაო პური ჰქონდეთ ან ზედმეტიც, მაინც ბაზარზე არ გააქვთ და მალავენ. პურს უმეტესად მიწაში მალავენ. გლეხები ამბობენ, რომ საბჭოთა მთავრობამ რა უნდა მოგვცეს ისეთი, რომ ჩვენ პურის ფასს უდრიდეს. რამდენიმე გუბერნიაში პურს გასასყიდათ სრულიად ვერ იშოვნით. სიმშილი აუტანელ მდგომარეობაში აგდებს ხალხს.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენტო).

იტალიის სადგურის რადიო ცნობები.

ბელგიის სამეფო ოჯახში.

მადრიდში ჩამოვიდენ ბელგიის სამეფო ოჯახის წევრები, სადაც მათ შეხვდენ ესპანეთის მეფის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები და სხ.

რეიხსტაგში.

რეიხსტაგის სხდომაზე დარბაზი სავსე იყო. სიმონსმა წარმოსთქვა სიტყვა განიარაღების შესახებ და განაცხადა, რომ მთავრობა ეცდება პირნათლათ აღასრულოს თავისი ვალდებულებანი. ანაზღაურების საკითხის შესახებ სიმონსმა ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ გერმანიის მთავრობას ჯერაც არ მიუღია ცნობა ლონდონის კონფერენციაზე მიწვევის შესახებო და ამასთანავე აღნიშნა, რომ შეუძლებელია მოლაპარაკების წარმოება იმ გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე, რომელიც ანტანტამ მიიღოვო. სიმონსმა კონტრ-წინადადება წამოაყენა.

ბოლშევიკების დაპატიმრება.

სან-სებასტიანიდან იუწყებიან გამოჩენილ ბოლშევიკის დაპატიმრების შესახებ. ფიქრობენ, რომ ეს ტროცკის ძმა უნდა იყოსო.

ოსმალეთის საკითხის შესახებ.

სტამბოლის მთავრობისაგან ჯერაც არ არის მიღებული პასუხი ლონდონის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ. განსაკუთრებით გამოურკვეველია მიიღებენ, თუ არა მონაწილეობას ლონდონის კონფერენციაზე ოსმალეთის ნაციონალისტების წარმომადგენლები. პრესის ცნობით, ვენიზელოსი ლონდონში იქნება ოსმალეთის საკითხების განხილვის დროს.

საფრანგეთის კაბინეტის გარშემო

ხუთშაბათს მოსალოდნელ კამათის გამო ოთხშაბათს შესდგა ორი სხდომა. საფრანგეთის პრემიერმა მიიღო დელეგაცია ფინანსიური კომისიისა. ამ დელეგაციის წევრებმა სთხოვეს ბრიანს, რომ მას მათთვის მიეცა ჩვენებანი მოკავშირეთა კონფერენციის შედეგების შესახებ. ბრიანი ესაუბრა აგრეთვე ლუშერს, ბარტუსა და დუმერს. ამ საუბრის დროს დასახული იყო ის დეკლარაცია, რომელიც ხუთშაბათს წაიკითხა პალატაში. საფრანგეთის კაბინეტი შეიკრიბება ხუთშაბათს დილით სამინისტრო დეკლარაციის საბოლოოთ შესამუშავებლად. პირველად ბრიანი ამ დეკლარაციას წაიკითხავს დეპუტატთა პალატაში, შემდეგ იგი ითხოვს სხდომის შეწყვეტას იმ მიზნით, რომ დეკლარაცია წაიკითხოს სენატში. სენატიდან იგი დაბრუნდება ბურბონთა სასახლეში, სადაც მოისმენს შეკითხვებს.

ახალი გამოგონება.

გაზ. „პტი პარიზიენის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ლეიტენანტმა დე-რომაგემ პეხკარის ახალ გამოგონების შესახებ სთქვა: მე დიდი იმედი მაქვს პესკარის გამოგონებისა და ვფიქრობ, რომ ამ გამოგონებით 90% შემცირდება უბედური შემთხვევები ფრენის დროსო.

კომუნისტების დაპატიმრება.

გამოირკვა, რომ პარიზში მყოფ უცხო ქვეშევრდომ კომუნისტების დაპატიმრებით პოლიციამ ხელი შეუშალა მოსკოვის ინტერნაციონალის მომხრეთა განზრახვებს არეულობის მოხდენაში. როგორც სჩანს ამ მახინაციის სულის ჩამდგმელი ყოფილა აბრამოვიჩი. ნიცას ერთ ერთმა მცხოვრებმა, რომელიც დიდ ხანს იყო დაპატიმრებული რუსეთში იცნო აბრამოვიჩი, რომელიც სახალხო კომისრის მოვალეობას ასრულებდა. მოსალოდნელია, რომ კიდევ მრავალ პირს დააპატიმრებენ.

კიროვი საქართველოს შესახებ

კავკავის კომუნისტთა ერთ-ერთ კრებაზე ყოფილ „დიპლომატიურ წარმომადგენელს“ საქართველოში კიროვს გაუკეთებია მოხსენება სადაც იგი შეხებია საქართველოს ლანძღვა-გინებით. ჩვენ მხოლოდ ამოვწერთ ზოგიერთ „მარგალიტ“ სიტყვებს, რომელიც გაზეთ „ბორბას“ მოჰყავს:

„თუ დღემდის ჩვენი წარმომადგენელნი ნოე ჟორდანიას უცხადებდნენ რომ მისი პატარა ქვეყანა, რომელიც გაძღენთილი არის კახეთის ღვინით, არაფრით არაა საინტერესო,—დღეიდან უნდა ჩვენ განვაცხადოთ, რომ კავკასია საბჭოთა რუსეთისათვის კი არ წარმოადგენს საშარეს, არამედ ისევ იმათთვის—მეფის პოლკოვნიკების და ჟანდარმერიებისთვისო“. შემდეგ სრულებით დაუშვებელი სიტყვებით, რაიც არ შეჰფერის არც ერთ კულტურის მატარებელ გაზეთს—იგინება კიროვი და თავის განცხადებას ასე ათავებს: „დრუბლები იკრიფებიან; იმ მომენტის დროს, როდესაც ატყდება საშინელი ქარიშხალი და ყველაფერს წალეკავს მაშინ საქართველოში ამობრწყინდება წითელი ვარსკვლავიცო“.

ჩვენ კომენტარიების მაგივრად მოვიყვანთ ისევ „კავკაზსკაია კომუნას“ დამახასიათებელ დასკვნას კიროვის შესახებ:

ესეც დიპლომატიური წარმომადგენელია!

აი ადამიანი, რომელიც საქართველოში კახური ღვინის მეტს სხვას ვერას ხედავს.

ადამიანი, მას შემდეგ რაც რუსეთის წინაშე წამოაყენა საქართველოს ვინაობა არა რცხვენიან და ამბობს: „ეს პატარა ქვეყანა რომელიც გაძღენთილია კახური ღვინით არაფითარ ინტერესს არ წარმოადგენსო“.

ადამიანი, რომელიც თავის თავს კომუნისტს ეძახის არა რცხვენია, როდესაც საქართველოს ლანძღავს უშვერის სიტყვით რასაც არ იკადრებდა არც ერთი სამეფო დროის დერჟიმორდი. მთელი კიროვის ტონი არის ნიკოლოზ მეფის ხანის „ხოლოპის“ ტონი და ლანძღვა.

და ამის შემდეგ გასაკვირველი არ იქნება თუ რატომ საქართველოს და რუსეთის შორის არა მყარდება ნორმალური ურთიერთობა“.

ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის განცხადება.

მთავრობის თავმჯდომარე ტევფიკ ფაშის დეპეშა მუსტაფა ქემალისადმი.

იანვრის 28 მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ ფაშისაგან მიიღო დეპეში, სადაც ნათქვამია რომ ანტანტის სახელმწიფოები იწვევენ ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს თებერვლის 21 კონფერენციაზე სევრის ხელშეკრულების გადასახალავათ. ანტანტას სახელმწიფოები აფრთხილებენ ტევფიკ ფაშას, რომ კონფერენციაზე უნდა გამოცხადდენ ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წარმომადგენლები და რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შესდგეს კონფერენცია და განიხილონ სევრის ხელშეკრულება.

დიდი ეროვნულ კრების თავმჯდომარე მუსტაფა ქემალ ფაშახ პასუხი.

მუტაფა ქემალ ფაშამ უპასუხა ტევფიკ ფაშას, რომ თუ ანტანტას სურს დამოკიდებულება იქონიოს ანგორის მთავრობასთან, მან უნდა მიმართოს ანგორას პირდაპირ და არა კონსტანტინოპოლის საშუალებით, რადგანაც ეროვნული კრება ანგორაში იმყოფება. ცხადია, რომ ერთსა და იმავე ერს არ შეუძლია სხვა და სხვა წარმომადგენლები გააგზავნოს.

მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ ფაშისადმი გაგზავნილ საგანგებო დეპეშაში აღნიშნა, რომ უადგილოა მისი შუამავლობა. დ დღა მოხერხებული ჟამი ეროვნული ინტერესების დაცვისა და სტამბოლის ანგორასთან გაერთიანებისა. ჩვენი პირობები შემდეგია: 1) სულთანმა თავისი „ხატ-ხიმაუნით“ უნდა იცნოს ანგორის მთავრობის ცხლანდელი შემადგენლობა დ მეჯლისი. 2) სულთანმა უნდა იცხოვროს სტამბოლში, მთავრობა დ მეჯლისი კი ანგორაში დარჩება. 3) არ არის საჭირო, რომ იარსებოს სტამბოლის კაბინეტმა და იგი საბოლოოთ უნდა გაუქმდეს. 4) ანგორის მთავრობა თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს ნიშნავს სულთანთან სტამბოლში. 5) სტამბოლის მოსამსახურეებს ამტკიცებს ანგორის მთავრობა. 6) ეს მოლაპარაკება ოსმალეთის ხალხს ეცნო სააგენტოს დეპეშით.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინ. საქ. მინისტრის ბრძანება

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემულია ბრძანება გადასახლებულ იქმნან რესპუბლიკის საზღვრებიდან შემდეგი პირები, რომლებიც პირველ თებერვალს, ღამის 12 საათზე, სასამართლოს ქუჩა № 46, შესწრებულ იქმნენ განსაკუთრებულ რაზმის აგენტების მიერ აზარტულ კარტის თამაშში: 1) გრ. დოლმაჩოვი, 2) ი. მირზოევი, 3) გრ. ხალდეი პავლო, 4) გ. რაზამეირი, 5) ლანგენი, 6) მ. ფაზილ, 7) ანდ. შახნაზაროვი, 8) მ. უზოვი, 9) ნ. ტიმჩენკო, 10) ოლ. ლანგენი, 11) ს. ანტონოვისა, 12) მნაცაკანოვისა, 13) ჯ. სუბაჩევისა, 14) ნ. კალინინისა.

დანარჩენი მონაწილენი თამაშში მინისტრის განკარგულებით მოიხდიან ადმინისტრატიულ სასჯელს თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა.

ალმოჩენილი ფული თამაშის დროს გადაეცა სახელმწიფო ხაზინას.

ახალი ამბები

✦ **მადლობის გამოცხადება.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ უსასყიდლოთ დაუთმო სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიულ ქიმიის ლაბარატორიის [13 ძვირფასი ქიმიის წიგნი, რისთვისაც ლაბორატორიის გამგე დამსახურებული პროფ. პ. მელიქიშვილი მადლობასა სწირავს აღნიშნულს სამინისტროს.

✦ **საქართველოს მისიის ჩასვლა ანგორაში.** საქართველოს დიპლომატიური მისია, რომელსაც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი მეთაურობს ანგორაში დიდი თანაგრძნობით მიიღეს.

✦ **გ. ბადაშვილის გამართლება.** გამომძიებელი ა. ბადაშვილი სასამართლომ უდანაშაულოთ სცნო და გაამართლა.

✦ **თადლაცვისათვის.** სამტრედიის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს საზეიმო სხდომა აღფრთოვანებული საშობლოს იურიდიულად აღიარების გამო მიესალმება ქართველ ხალხს, ულოცავს მას უდიდეს პოლიტიკურ გამარჯვებას და მომენტის აღსანიშნავათ მომავალი შინა საქმიანობის განსამტკიცებლათ თავდაცვას ფონისთვის სდებს 100.000 მან.

✦ **გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორმა ვ. ქიქინაძემ მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს წერილით, რომელშიაც იგი სწერს: იმ დიდებულ აქტის აღსანიშნავად, რომელსაც ადგილი ქონდა იანვრის 27 არ შემიძლია შემოვწირო სხვა რამე გარდა ერთი ვარსკვლავისა, რომელსაც ვაგზავნი ამასთანავე ჩემი ოჯახის სახელით თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ. შორეულ ბუხარაში რკინის გზის გაყვანისათვის მიღებული ვარსკვლავი ახლა უკეთეს დანიშნულებას მიიღებს. წერილი ვარსკვლავთან ერთად მთავრობის საქმეთა სამმართველოში გადაიგზავნა.

✦ **საქართველოს კონსტიტუცია.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სცემს ორ ტომათ მთელ იმ მასალას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის დამუშავებას შეეხება. პირველ ტომში შევა ის სიტყვები, რომლებიც წარმოთქმულ იქმნა კონსტიტუციის პირველი კითხვის დროს, მეორეში—ის სიტყვები, რომლებიც წარმოთქმული იქმნა 2, 3 და 4 კითხვის დროს. დაბეჭდილი იქნება აგრეთვე დამფუძნებელი კრ. მიერ დამტკიცებული ტექსტი კონსტიტუციისა და საკ. კომისიის ოქმები. ხელის მოწერა ორივე ტომზე ხდება დამფ. კრებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა.

✦ **საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ადერბეიჯანში** ბ-ნი გ. ი. ხუნდაძე ღებულობს ყოველ დღე კერძო პირთ წარმომადგენლობის საქმეების გამო 11—1 საათამდე საგარეო საქმეთა სამინისტროში.

✦ **საქართველოს კონსული ვლადიკავკაზში** გ. წუწუნავა ღებულობს კერძო პირთ საკონსულო საქმეების გამო 11—1 საათამდე ორშაბათობით და პარასკეობით საგარეო საქმეთა სამინისტროში.

✦ **ჯამაგირების მომატება.** დამფუძნებელმა კრებამ იანვრის 4-ს სხდომაზე მიიღო დეკრეტი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა 100% ჯამაგირის გადიდების შესახებ ა. წ. იანვრის 15-დან.

✦ **სტუდენტთა სასარგებლოთ.** ქალ. მოურავმა ბ. გ. ჩხიკვიშვილმა მიიღო დამატებითი შემოწირულება სტუდენტთა სასარგებლოთ შემდეგ პირთაგან: ანგორის მთავრობის წარმომადგენელ პოლკ. ქიაზიმ ბეისაგან—15,000 სპარსეთის გენერალური კონსულის თავი ხანისაგან—20,000 მ. და მ. რაუხერისაგან—10,000 მ. ფულები გადაეცა სტუდენტთა გამგეობას. ქალ. მოურავი სტუდენტთა სახელით მადლობას უძღვნის შემომწირველთ. შემოწირულება გრძელდება.

✦ **6 თებერვლის დღესასწაული.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა 6 თებერვალს საქართველოს იურიდიულად ცნობის დღის აღსანიშნავად ქალაქში დღესასწაული დიდი ზეიმით მოეწყოს. ამ დღეს მთელი ქალაქი მორთული იქნება ეროვნული ალმებით და დროშებით. სახლების აივნები და ფანჯრები დაფარული იქნება ხალებით, ყვავილებით და გირლიანდებით. საღამოთი მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება სხვადასხვა ფერ ფარნებით. საღამოსვე ერევნის მოედანზე, ქალაქის საბჭოს შენობის წინ გაიმართება უფასო კინემატოგრაფი. ნაჩვენები იქნება ბათუმის საქართველოსთან შემოერთების სურათი. ამას გარდა სხვა ქალაქის მაღლობ ადგილებზე აშვებული იქნება შუშხუნები—რაკეტები სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული.

✦ **მწერალთა კრება.** კვირას დილის 11 საათზე არმაზის შენობაში (ყოფილი ქიმერიონი) შესდგება ქართველ მწერალთა საერთო კრება. განსახილველია მიმდინარე საკითხები.

✦ **უარყოფა.** იანვრის 12 გაზ. „სლოვო“ იუწყება იმის შესახებ, თითქოს დერსიმის ქურთები აჯანყდენ ანგორის მთავრობის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ სარდლის მონდობილობით კატეგორიულათ უარვყოფთ ამ პროვოკაციულ ხმებს დ ვაცხადებ, რომ დერსიმის ოლქში ისეთივე მშვიდობიანობაა, როგორც ანატოლიის სხვა ადგილებში. ამ ყალბი ხმების ავტორები თავის თავს იტყუილებენ.

ბათომი

მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ბ-მა გ. გიორგაძემ შემდეგი ბრძანებანი გამოსცა:

— უკანასკნელ ხანებში ადგილი ქონდა ბ. ზოგიერთ ოფიცრების მიერ წესიერების დარღვევას. მოვაგონებ ბ. ოფიცრებს, რომ ისინი დამცველი არიან წესიერების და არა დამრღვევნი. ერთხელ და უკანასკნელად ვაფრთხილებ ბ. ოფიცრებს, რომ ყველა წესიერების დამრღვევნი სასტიკათ იქნება დასჯილი ჩემ მიერ ადმინისტრატიული წესით. სამწუხაროთ მიმაჩნია, რომ ზოგიერთ ოფიცრების მოქმედების გამო იძულებული ვარ მივმართო მთელ ოფიცრობას, რომელსაც მე ვიცნობ როგორც რაინდებს და არა უწესოების ჩამდენთ.

— ოლქის სასურსათო საქმის მოსაწყობათ დაარსდეს ჩემთან „საქონლის შემყიდველი ბიურო“ შემდეგი შემადგენლობით: 1) ცეკავშირის წარმომადგენელი მგალობლიშვილი, 2) მუშათა მაგიდის გამგე ყუფარაძე და 3) საბჭოს წევრი გოგიბერიძე ეს დადგენილება ეცნობოს დანიშნულ პირებს.

— სავალდებულო წესდების დარღვევისთვის თეატრ „პელ მელის“ პატრონი დაჯარიმებულია 50.000 მანეთით.

— ბათომის ოლქის კომისარი პლატონ მიქაბერიძე, რომელიც გაგზავნილი იყო სოფ. სარფში და გონიაში, „ვანნი დერეს“ შუქრი მუსტაფის სახლზე მომხდარ თავდასხმის კვლევის მოსახდენათ დაბრუნდა ბათომში.

— ს. სარფში ბ. მიქაბერიძემ დაათვალიერა მილიცია, სადარაჯო და მოისმინა ხალხის თხოვნა, რათა სარფის კომისარის სამმართველო იქნას გადმოტანილი ს. მაკრიალიდან ს. სარფში, სადაც მცხოვრებლებს აუშენებიათ წინეთ შესაფერი ბინა, რომელიც ამ ჟამათ, დროებით უჭირავს სანაპირო რაზმს, ლიმანის განყოფილების ნაწილს.

— საგანგებო რწმუნებულის განკარგულებით სურსათ სანოვაგის საქმის მოსაწესრიგებლად დაარსდა ბიურო, რომელიც გაანაწილებს სხვადასხვა საქონელს: ცენტრო-კავშირის თავმჯდომარედ იქნება მგალობლიშვილი, მუშათა მაგიდის წარმომადგენთად სერგო ყუფარაძე და ოლქის საბჭოს თავმჯდომარედ გ. გეორგაძე.

— 29 იანვარს შესდგა ოლქის საბჭოს მორიგი სხდომა საგანგებო რწმუნებულის გ. გეორგაძის თავმჯდომარეობით. კრებაზე განიხილეს საკითხი: ოლქში კოოპერაციის განვითარების და შექმნილ ბინის კრიზისის შესახებ. ს. კუპრაძემ კრებას მოახსენა, რომ საჭიროა ბათომში გაიხსნას კოოპერატიული ბანკი. საბჭომ დაადგინა: გახსნას ბიურო სანოვაგის და სურსათის გასანაწილებლად. საწყობები იქნება კოოპერატიულ ბანკთან. რაც შეეხება ბინის კრიზისის საკითხს ქალაქის მოურავმა კრებას მოახსენა, რომ ერთმა ფრანგულმა ფირმამ წინადადებით მიჰმართა ქალაქს, რომ შესაძლებელი იქნება ბათომში გაკეთდეს მოძრავი სახლები, რაც ხელს შეუწყობს ბინის კრიზისის განელებასო. საბჭომ ეს წინადადება მიიღო.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: მისცეს არმიისა და გვარდიის ნაწილებს საშუალება, „ლალტისა“ და „სამშობლოს“ ყურებისა. ხარჯებს კომიტეტი თავის თავზე ღებულობს. ამასთანავე დაადგინა დააკმაყოფილოს შემდეგი შუამდგომლობანი: მისცეს სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციას თბილი ტანისამოსი და პიესებისათვის საწერი ქაღალდი. დაკმაყოფილებულია აგრეთვე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტ. განმან. სექციის შუამდგომლობა მატერიალურ დახმარების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა: სექციის ხარჯები დაფაროს ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება კომიტეტის თავმჯდომარეს მიენდო.

მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: ფრონტზე მდგომ ჯარის ნაწილებს შორის საჩუქრების დასარიგებლად გამოჰყოს საგანგებო კომისია. საჩუქრების ფრონტზე მიტანა უნდობა კ-ტის მთელ შემადგენლობას. მთავარი კ-ტი მთელი შემადგენლობით გვარდიისა და ჯარის ნაწილებისათვის დასარიგებელ საჩუქრებით ფრონტზე თებერვლის 5 მიემგზავრება.

მოწოდება

მოქალაქენო!

ბავშვთა გამასწორებელ საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ზემო ავჭალის გამასწორებელ-აღმზრდელობითი მცირე-წლოვან ბავშვთა კოლონიაც. ამას გარდა ამავე საზოგადოებას გადაეცა გონჩაროვის სახელობის ბავშვთა გამასწორებელი თავშესაფარიც.

წარსულ წელს ორივე ეს დაწესებულებანი თავის საარსებო სახსარს და საჭიროებას ღებულობდნენ კერძო ქველმოქმედ წყაროდან, რომელსაც განსაკუთრებით დიდად ეხმარებოდნენ სასამართლოს უწყების მოსამსახურენი. დღეს ცხოვრების თანდათან გაძვირების გამო ამ ქველმოქმედების დახმარება შესუსტდა და საზოგადოება, მიხედვად იმისა, რომ იგი ღებულობს სუბსიდიას ხაზინიდან, რომელიც ძლივს ფარავს მოთხოვნილების ნახევარსაც კი, საშინელ მატერიალურ გაჭირვებაში ჩ ვარდა.

საუკეთესო საშუალებათ მცირე წლოვან ბავშვთა დამნაშავეთა გასასწორებლად მიჩნეული არის სოფლის სამეურნეო დარგის და ხელოსნობის შესწავლა, რათა ახალგაზრდა თაობა მიეჩვიოს სისტემატიურათ სინდისიერ შრომას—გარჯილობას და ისე იცხოვროს. გამგეობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამ მხარეს, მაგრამ საჭირო მასალების და ინსტრუქციების უქონლობა კი დიდ გასაჭირს წარმოადგენს. ზემო-ავჭალის კოლონია სადაც გაკეთებული და დაარსებულია მრავალი სახელოსნოები და შეუძლიან ხელი შეუწყოს ბავშვებს სხვა და სხვა ხელოსნობის შესწავლაში მოკლებულია საჭირო მზრუნველობას, როგორც არის რემონტი, შენობების გაფართოვება და სხვა. ვერც სპეციალისტებს იწვევს იმავე ნივთიერის ხელმოკლეობის გამო.

შემდეგი არსებობისთვის და ამ საქმის მოდვაწეობის გასაფართოვებლად ამავე საზოგადოებასთან არსებული ქალთა კომისია და სხვა დამხმარე ორგანიზაციები მოუწოდებენ ყველა ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს და ყველა მოქალაქეს რათა აღმოუჩინონ ამ საზოგადოებას სათანადო დახმარება, საჭიროა პერიოდულად დახმარება, რათა საზოგადოებას შეძლება მიეცეს საარსებო თანხის გაჩენისა და ამით საქმის წარმატებით წაყვანა.

მიჰმართავს რა საზოგადოება თხოვნით ყველა დაწესებულებებს და ქველმოქმედებს გამგეობა იმედს გამოსთქვამს რომ ყველანი მის თხოვნას გამოეხმაურებიან და ამ რიგად გაკეთდება ფრიად სასარგებლო საქმე. შემოწირულება მიიღება გამგეობის თავმჯდომარის სახელზე, ქალთა კომისიის თავმჯდომარის სახელზე და აგრეთვე წევრების მდივნის ვ. ლუნკევიჩის სახელზე ყოველდღე დილის 10 ს. დღის 3 ს. იუსტიციის სამინისტროს შენობაში.

გამგეობის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტ. არხენიძე; ქალთა კომისიის თავმჯდომარე დ. ავალიანი.

ნამდვილს ზედ აწერია: ვამტკიცებ“ 9 აპრილი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ჟვალიანი.

წესდება

ქართული სავაჭრო ბანკისა.

აქციონერთა საზოგადო კრება.

§) 63. საზოგადო კრებას აუცილებელ მოვალეობას შეადგენს:

ა) არჩევა საბჭოსა და გამგეობის წევრთა.

ბ) საბოლოოდ დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშისა და წლიურისავე ხარჯთ აღრიცხვისა.

შენიშვნა: ანგარიშების განსახილველად და საზოგადო ბანკის მოქმედების და საქმეების შესამოწმებლად საზოგადო კრება არჩევს ცალკე სარევიზიო ხუთ წევრიან კომისიას იმ წესთა მტკიცე დაცვით, რომელიც აღნიშნულია დეკემბრის 21 ს 1901 წლის კანონის მუხლებში 14 დი 17.

გ) გარდაწყვეტილება ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისა.

დ) გარდაწყვეტილება უძრავ ქონების შეძენისა ბანკის საჭიროებისათვის.

ე) გარდაწყვეტილება წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის.

ვ) გარდაწყვეტილება ბანკის თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის.

ზ) გარდაწყვეტილება ბანკის გაუქმებისა და მის საქმეთა ლიკვიდაციისათვის.

შენიშვნა: დადგენილება საზოგადო კრებისა ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისათვის, წესდების შეცვლისა და დამატებისათვის, აგრეთვე თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის გამგეობამ ფინანსთა მინისტრს უნდა წარუდგინოს გარდასაწყვეტად.

§ 64. ყოველგვარი, არჩევნები საზოგადო კრებაზე იმ წესით სწარმოებს, რომელსაც

თვით კრება დადგენს, კენჭის ყრა ფარული უნდა იყოს, თუ ამის მოითხოვს თუნდ ერთი აქციონერი, რომელსაც ხმა აქვს. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, თუ სჯის შეეხება გამგეობის საბჭოს და სალაკვიდაციო კომისიის წევრთა არჩევისა ან გადაყენების და მათ სამართლში მიცემას.

§ 65. იმ საკითხთაგან, რომელსაც კრება განიხილავს და გადაწყვეტს, უნდა შეადგინ დაწერილებითი ოქმი კრების გადაწყვეტილებათა ერთად ოქმში მოხსენებული უნდა იყოს, რამდენი ხმა ეფერებოდა კრებ. ამ ოქმს ეს თვითონ გადაწყვეტილება და აღნიშნოს ისიც, თუ ვინ რა ახია გამოსულა, ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ ცალკე მოწვეული კაცი და თანაშეკრებილნი კრების პასუხისმგებელია თავიანთი ოქმი ან თანხმობა ან მსჯელობა-გადაწყვეტ ლებაზ, რასაც კრებაზე ქონდა ადგილი. ოქმის სწორად შედგენაზ ამოწმებს თავმჯდომარე კრებისა და აგრეთვე სხვა აქციონერებიც, სულ-ცოლსამები, მხოლოდ რიცხვი მათი სიმხე ნაკლება არ უნდა იყოს. გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე ანბანისა და საზოგადო ყოველი მისი დამტკიცებისა უნდა მიეცეს თითოეულ აქციონერს, თუ კი ეს მან მოისურვა.

§ 66. იმ აქციონერებს, რომლებიც წევრნი არიან მართვა-გამგეობისა ან ზედამხედველ ორგანიზაციისა, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების ნება კი აქვთ არე პირადად და არც სხვა აქციონერებს ეფერებოდა ამ შემთხვევაში, როცა გადასწყვეტი საგანი შეეხება მათ სამართალში მიცემას ან სამართალში მიცემისაგან განთავისუფლებას, თანამდებობიდან მათ გადაყენებას, მათთვის საყოველთო დანაშაულ და მათ მიერ ხელმოწერილი წლიური ანგარიშების დამტკიცებას, როცა გადასწყვეტია საქმე პირობის შეკეთებისა ბანკის მიერ ისესთან, ვინც აქციონერთა შორის არიან ერიანები. ამას ან შეუძლია ბნა იმოწინის კრებაზე, არც პირადათ, არც სხვა აქციონერეკის ვიქნალმათ.

§ 67. მუშაობა ერთის საზოგადო კრებისა, თუ საჭიროა, შესაძლოა განგრძობილ იქმნას რამდენსმე დღეს, მაგრამ არა შეეხეს ერთი კვირისა. დრო კრების განგრძობისა თვით კრებამ უნდა დანიშნოს ბოლმე.

ა ნ გ ა ნ ი შ ი.

§ 68. ბანკის საოპერაციო წელიწადი იწყება პირველ იანვრიდან და თავდება ოცდა თერთმეტ დეკემბერს.

შენიშვნა: თუ ბანკი პირველ ივლისს შემდეგ დაარსდა, მაშინ დაარსების წელიწადი შემდეგ წელიწადს მიეჩიგება.

§ 69. წლიური ანგარიშით გამგეობისა და მისი შესახებ შენიშვნები საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა უნდა დაბეჭდილ იქმნას, სულ ცოტა ორი კვირით ადრე, მის განსაბილველად დანიშნულ საზოგადო კრების დღემდე და გამგეობაშივე უნდა ეჩიგებდეს აქციონერებს, რათა ვინც მოისურვებს წინდაწინვე გაიცნოს მისი ვითარება; შემდეგ, კრების ოქმთან ერთად უნდა გიეგზავნოს, ოთხი ეკზემპლარი ფინანსთა მინისტრს.

§ 70. ბანკის ოპერაციების წლიური ანგარიშები იბეჭდება განსაკუთრებულ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში „საკრთველოს რესპუბლიკაში". იმავე ორგანოში ამას გარდა ბანკი მოვალეა ბეჭდოს ბანკის ყოველთვიური ბალანსები. ყოველ-თვიური ბალანსები ხუთ ეგზემპლი